*დანართი №2*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
**სსიპ კოლეჯ "ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში" "Front-end დეველოპმენტის", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ალინა კუპრავა

**წევრები:**

დავით ბიტმალკიშევი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების  სახელწოდება: სსიპ კოლეჯი "ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 205339944

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 27/02/2025 წლის N215526 ბრძანების საფუძველზე სსიპ კოლეჯ "ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში" "Front-end დეველოპმენტის", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოების ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება.*

*ვიზიტი განახორციელდა 2025 წლის 21 მარტს.*

*ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.*

*ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების თანახმად განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება-შეფასება, დოკუმენტაციების შესწავლა, შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან .*

*დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.*

## III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*არ დაფიქსირებულა*

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | Front-end დეველოპმენტი |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2025 წლის 14 თებერვალი - დირექტირის ბრძანება N32 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | გურამ ფანჯიკიძის N3, 0160, ქ. თბილისი, საქართველო |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 224 (მათ შორის 140 - იმიტირებული სწავლების ფორმა, 84 - ინტეგრირებული სწავლების ფორმა) |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | 84 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 88 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 118 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

სსიპ კოლეჯი ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით/გადამზადებით ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა/გამოყენების ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „Front-end დეველოპმენტის“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეყრდნობა ვებტექნოლოგიების მიმართულების ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დამტკიცებას.

**დაწესებულებამ შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი, რომლის ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა შემდეგი:**

Front-End დეველოპმენტის საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება “ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის” მისიას და სტრატეგიულ მიზნებს. კოლეჯის მისიაა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

კადრების მომზადებით/გადამზადებით ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა/გამოყენების ხელშეწყობა. ეს პროგრამა უშუალოდ უწყობს ხელს ამ მისიას გამოცდილი დეველოპერების მომზადებით, რომლებიც ფლობენ უახლესი ვებ განვითარების ტექნოლოგიებს. ადგილობრივი და გლობალური ბაზრის სპეციფიკურ საჭიროებებზე ფოკუსირებით, პროგრამა ეხმარება კურსდამთავრებულებს გახდნენ კონკურენტუნარიანი კანდიდატები დასაქმებისთვის როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, ასევე მათ ექნებათ თვითდასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები
გარდა ამისა, პროგრამა ხაზს უსვამს პროფესიონალიზმის მაღალ სტანდარტს და სწავლების ხარისხს, რაც კოლეჯის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა. სწავლების პრაქტიკული და უახლესი მეთოდების საშუალებით ისეთ ინსტრუმენტებში, როგორიცაა React, JavaScript და Git, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღებას. ეს აქცენტი ხარისხზე შეესაბამება კოლეჯის მიზანს, იყოს ლიდერი IT განათლებაში და შემდგომში მხარს უჭერს დაწესებულების რეპუტაციას, როგორც გამოცდილი სპეციალისტების საიმედო მიმწოდებელს.

Front-End დეველოპერის პროგრამა არა მხოლოდ მხარს უჭერს კოლეჯის მისიას, გააუმჯობესოს ტექნოლოგიური უნარები ქვეყანაში, არამედ ემთხვევა მის სტრატეგიულ ხედვას მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ხელშეწყობისთვის, რომელიც მზად არის დააკმაყოფილოს თანამედროვე ციფრული ეკონომიკის საჭიროებები.

Front-End დეველოპერის პროგრამის დამატება გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმებიდან - მიზანი N1 პროგრამების შემუშავება და განვითარება, რომლის ერთერთი შესრულების ინდიკატორია პროგრამის დამატება.

**პსდ-ს სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.**

front-end დეველოპერის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი დამტკიცდა 2024 წელს და კოლეჯი აქამდე წარმატებით ახორციელებდა ვებტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც ვადა ამოეწურა და ხორციელდება მილევად რეჟიმში. მოთხოვნა აღნიშნულ პროგრამაზე მუდმივად არის, თუ ასევე გავითვალისწინებთ ვებტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სტატისტიკას და კოლეჯში მომართვიანობას, ყოველწლიურად რეგისტრანტების რაოდენობა ბევრად აღემატება გამოცხადებული ადგილების რაოდენობას.

**ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.**

შრომის ბაზრის ეროვნული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მნიშვნელოვანი მოთხოვნა იმ უნარებსა და კომპეტენციებზე, რომლებსაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების პროგრამა Front-End დეველოპერი. ბიზნესის მზარდმა დიგიტალიზაციამ და ტექნოლოგიური სექტორის ზრდამ საქართველოში შექმნა კვალიფიციური ვებ დეველოპერების საჭიროება, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან მიმზიდველი და სრულყოფილი მომხმარებლის ინტერფეისები.

**შრომის საერთაშორისო ბაზრის კვლევის მონაცემებზე4 დაყრდნობით, საერთაშორისო ბაზარზე არსებობს მოთხოვნა იმ სამუშაო უნარებზე/პოზიციებზე რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამა**

Front-End დეველოპმენტის სპეციალისტებზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება ტექნოლოგიური განვითარებისა და ციფრულ პროდუქტებზე დამოკიდებულების ზრდის ფონზე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებზე დაყრდნობით, ტექნოლოგიების სექტორი ერთ-ერთ ყველაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწრაფად მზარდი ინდუსტრიების რიგშია, სადაც ვებდეველოპერებისა და ტექნოლოგიური უნარების მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნა სტაბილურად იზრდება. Front-End დეველოპმენტის სფეროში მნიშვნელოვანია ისეთი უნარების განვითარება, როგორიცაა HTML, CSS, JavaScript, და სხვ. ასევე, ციფრული პროდუქტების ხელმისაწვდომობისა და მობილურ აპლიკაციებზე აქცენტის ზრდამ გაზარდა მოთხოვნა შესაბამისი უნარების მქონე კვალიფიციურ დეველოპერებზე. მსგავსი ტენდენციები დასტურდება საერთაშორისო რესურსების მიხედვით, მაგალითად:• "The Future of Jobs Report", რომელიც აღნიშნავს, რომ ციფრული უნარები ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად სფეროდ რჩება საერთაშორისო შრომის ბაზარზე. • LinkedIn-ის „Emerging Jobs Report“, სადაც Front-End დეველოპმენტი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პროფესიად არის დასახელებული. ეს პროგრამა პირდაპირ უკავშირდება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ინტეგრაციას როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ეკონომიკაში

**დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე იკვეთება კონკრეტული კვალიფიკაციის საჭიროება**

პროგრამის დამატების მიზნით კოლეჯმა ჩაატარა სხვადასხვა კომპანიების გამოკითხვა, კონკრეტულად კი გამოიკითხა ისეთი კომპანიები, როგორიცაა: imedi l, Unicode, შპს "ონლაინ ექსპრესი", Logical Systems, საქართველოს ბანკი, თინეთი, Easy Access, Setanta Sports. აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა მერყეობს 5-დან 10 000-მდე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ მცირე, საშუალო და დიდი ზომის კომპანიები. ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ პროგრამა შრომის ბაზარზე მოთხოვნადია და კურსდამთავრებულები, კარგი პორტფოლიოს ქონის შემთხვევაში, შეძლებენ როგორც დასაქმებას, ისე თვითდასაქმებას. ერთერთი კომპანია აცხადებს - „Front-End დეველოპმენტის სწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია დამწყები პროგრამისტებისთვის/დეველოპერებისთვის, რადგან კლიენტის მხარეს კოდის წერის ტექნიკები და გამოცდილება კარს უღებს პროგრამირების შინაარსის უკეთ გააზრებას, რის შემდეგაც შედარებით მარტივი ხდება მეტი სიღრმისეული გამოცდილების მიღება ზოგადი პროგრამირების კუთხით, დღეს არ აქვს მნიშვნელობა, ვებ-დეველოპმენტის რომელ ნაწილს სწავლობ (კლიენტის თუ სერვერის), თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარებები პროგრამირებაში ხელს გვიწყობს სწრაფად და ნაკლები შეცდომებით შევქმნათ იმ მოთხოვნებზე დაყრდნობილი დავალებები, რომელსაც გარკვეული პროექტი მოიცავს, რადგან ხელოვნური ინტელექტი დღეს უპირობოდ გვიქმნის შესაძლებლობას რომ სუფთა და სწორი სტრუქტურული კოდები ავაწყოთ, ჩავთვალოთ რომ Front-End დეველოპმენტის ცოდნა გასაღები და წინაპირობაა მომავალი კარიერული პერსპექტივის, თუ კი ჩვენ გვაქვს საკმარისი ბაზა და გამოცდილება რაიმე სფეროში, ამ სფეროსთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება გაცილებით მარტივია, ვიდრე მისი არ ცოდნის შემთხვევაში“.

**პსდ-ს მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა კონკრეტული სპეციალობის მქონე კვალიფიციური კადრების საჭიროება**

დასაქმების საიტების - https://jobs.ge/, https://www.hr.ge/ გაანალიზების საფუძველზე, ცხადი გახდა, რომ ბევრი კომპანია, სტარტაპებიდან დაწყებული და დამთავრებული საწარმოებით, დეველოპერებისგან მოითხოვენ, მუდმივად ონლაინ რეჟიმში ყოფნას და მომხმარებლისთვის შეუფერხებელი მომსახურების უზრუნველყოფას. ამ მოთხოვნას კიდევ უფრო განაპირობებს ელექტრონული კომერციის სექტორის გაფართოება, ციფრული სერვისები და ტექნოლოგიური ჰაბების ზრდა თბილისში, რომლებიც ეძებენ პროფესიონალებს, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან დინამიური და ოპტიმიზირებული ვებსაიტები. შედეგად, front end-ის განვითარების უნარები, როგორიცაა JavaScript, React, ვებსაიტების ოპტიმიზაცია და კონტროლი, ძალიან მოთხოვნადია. Front-End დეველოპერის პროგრამა შექმნილია ამ ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სტუდენტების აღჭურვით დამსაქმებლების მიერ მოთხოვნილი სპეციფიკური ტექნიკური უნარებითა და ცოდნით. პროგრამის აქცენტი თანამედროვე ინსტრუმენტებზე, ჩარჩოებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებს სწრაფად მოერგონ ინდუსტრიის განვითარებად საჭიროებებს, რაც მათ ღირებულ აქტივებად აქცევს კონკურენტულ სამუშაო ბაზარზე. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ეს შესაბამისობა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ წვლილს მისი კურსდამთავრებულების პროფესიულ წარმატებასა და რეგიონის უფრო ფართო ეკონომიკურ განვითარებაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.**

აკადემიას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (ადმინისტრაცია, შესაბამისი კვალიფიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები (22 განმახორციელებელი, მათ შორის 6 დარგობრივი მოდულებისათვის) , რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას.

**დაწესებულებას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.**
Front-end დეველოპმენტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისავის გამოყოფილია 13 აუდიტორია, რომლებიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტისათვის და მასწავლებლისათვის პროგრამის სპეციფიკით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით.

**ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მოსაზრებით პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**
პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაში Front-end დეველოპმენტი განსაზღვრლი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული **ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში საბაზო განათლება.**

ჩარიცხვის პროცედურები დარეგულირებულია სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისა და აპლიკანტთა ჩარიცხვის წესით შერჩევის დებულება (მე-3 და მე-4 დონე), რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. აპლიკანტთა შერჩევის ფორმატია - ტესტირება და მოტივაციური გასაუბრება, ან მხოლოდ მოტივაციური გასაუბრება, ან მხოლოდ ტესტირება, აღნიშნული ზუსტდება ყოველი ახალი ნაკადის მიღების წინ დირექტორის ბრძანებით, რაც აისახება ანკეტა კითხვარში. წინამდებარე წესით განსაზღვრულია ყველა ის დეტალი და პროცედურა, რაც სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებით, შესაბამისად **Front-end დეველოპმენტი'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. კოლეჯი სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს შემდეგი მეთოდოლოგიით: გამოიანგარიშებს პროგრამაზე დატვირთვის მაქსიმალურ შესაძლებლობას სტუდენტების ორ ცვლაში სწავლების პირობებში, ჩამოთვლილთაგან კონკრეტული შემთხვევისთვის შესაბამისი კრიტერიუმების შეჯერებით:

- შესაბამის აუდიტორიებში სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- განმახორციელებელი ადამიანური რესურსი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საზოგადოების ინტერესი - მომართვიანობა ან IT ბაზრის მოთხოვნა;

- პარტნიორი კომპანი/ებ/ის სტუდენტების გამტარუნარიანობა.

რომლის საფუძველზე განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით A, B, C გარემოების მოწყობის წესები, კონტიგენტის განსაზღვრისას

„ Front-end დეველოპმენტი ‘‘ **საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის Front-end დეველოპმენტი განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი პროგრამის თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, არის დაწესებულების საკუთრებაში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, პროგრამა სრულადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი თემატიკის სასწავლო რესურსებით(ელექტრონული).

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას Front-end დეველოპმენტი არ აქვს არჩევით მოდულები.

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა Front-end დეველოპმენტი დამტკიცებულია 2025 წლის 14 თებერვალი - დირექტირის ბრძანება N32-ით. ბოლო ცვლილება შეტანილია 2025 წლის 21 მარტის დირექტირის ბრძანება N66-ით.

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროგრამის სახელწოდება პროგრამა Front-end დეველოპმენტი შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **Front-end დეველოპმენტი** შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის Front-end დეველოპმენტი სარეგისტრაციო ნომერი - 06.1.1 საფუძველზე . დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

კრედიტის მინიჭება, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულების, სასწავლო გეგმებისგან (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული ,მათ შორის ქართული ენის A2, B1 გათვალისწინებით და მის გარეშეც), პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დღეს პროგრამის პაკეტში, მათ შორის მოდულებში, განხორციელდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები. ცვლილებები ძირითადად მოიცავდა სარეკომენდაციო ტექსტების დაწესებულების მიდგომებთან შესაბამისობაში მოყვანას, ჩანაწერების დაზუსტებასა და სხვა ტექნიკური დეტალების კორექტირებას. ცვლილებები დამტკიცდა 2025 წლის 21 მარტის დირექტირის ბრძანება N66-ით.

**ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- მისია, სტრატეგიული გეგმა http://itvet.ge/ka/mission
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;
- ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ - 2025 წლის 4 თებერვალი N32; 2025 წლის 21 მარტის დირექტირის ბრძანება N66-ით.
- დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს ;
- დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

Front-end დეველოპმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება მისამართზე: ქ.თბილისი, გურამ ფანჯიკიძის N3. პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის გამოყოფილია სულ 13 სასწავლო აუდიტორია , კერძოდ :

1. აუდიტორია N203 - კომპიუტერული ლაბორატორია გათვლილი 18 პროფესიულ სტუდენტზე;
2. აუდიტორია N207 - კომპიუტერული ლაბორატორია გათვლილი 14 პროფესიულ სტუდენტზე;
3. აუდიტორია N208- კომპიუტერული ლაბორატორია გათვლილი 14 პროფესიულ სტუდენტზე;
4. აუდიტორია N302 - კომპიუტერული ლაბორატორია გათვლილი 18 პროფესიულ სტუდენტზე;
5. აუდიტორია N303 - კომპიუტერული ლაბორატორია გათვლილი 18 პროფესიულ სტუდენტზე;
6. აუდიტორია N305 - კომპიუტერული ლაბორატორია გათვლილი 16 პროფესიულ სტუდენტზე;
7. აუდიტორია N402 - კომპიუტერული ლაბორატორია გათვლილი 14 პროფესიულ სტუდენტზე;
8. აუდიტორია N403 - კომპიუტერული ლაბორატორია გათვლილი 14 პროფესიულ სტუდენტზე;
9. აუდიტორია N404 - კომპიუტერული ლაბორატორია გათვლილი 14 პროფესიულ სტუდენტზე;
10. აუდიტორია N407 - კომპიუტერული ლაბორატორია გათვლილი 14 პროფესიულ სტუდენტზე;
11. აუდიტორია N409 - კომპიუტერული ლაბორატორია გათვლილი 30 პროფესიულ სტუდენტზე;
12. აუდიტორია N209 - ინტეგრირებული მოდულის მეცნიერება და ტექნოლოგიები ფიზიკა/ ბიოლოგიის/გეოგრაფია ლაბორატორია გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე;
13. აუდიტორია N309 - ინტეგრირებული მოდულის მეცნიერება და ტექნოლოგიები ქიმიის ლაბორატორია გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე;

თითოეული აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის და მასწავლებლისათვის სამუშაო მაგიდით, სკამით, ასევე აუდიტორიაში განთავსებულია დემონსტრირების საშუალება - მონიტორი, პრინტერი და პროგრამის სპეციფიკით განსაზღვრული სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**წინამდებარე აუდიტორიების ერთცვლაში დარტვირთვის ფარგლებში ერთდროულად შესაძლებელია 214 პროფესიული სტუდენტის განთავსება, აუდიტორიების ორცვლაში გამოყენების შემთხვევაში აღნიშნული რაოდენობა ორმაგდება.**

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამა დაამატა „ვებტექნოლოგიების პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის“ გაუქმების საფუძველზე. შესაბამისად, მას ამჟამად ჰყავს ვებტექნოლოგიების ინტეგრირებული პროგრამის 57 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც სწავლას მილევად რეჟიმში აგრძელებენ. ამ სტუდენტთაგან: 2023 წლის მიღების ფარგლებში ჩარიცხული 26 სტუდენტი სწავლას დაასრულებს 2026 წლის მაისში. 2024 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებით ჩარიცხული 32 სტუდენტი სწავლას დაასრულებს 2027 წლის ზაფხულში. ამჟამად, ვებტექნოლოგიების ინტეგრირებულ პროგრამაზე ფუნქციონირებს 4 მილევადი ჯგუფი. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა სამწლიანია, თითოეული ჯგუფისთვის აუდიტორიის კვირეული დატვირთვა მინიმალურია (კვირაში სულ 15-20 საათი). რაც წარმოადგენს წინამდებარე აუდიტორიების სრული დატვირთვის 10%.

**ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“** ლაბორატორიების დატვირთვა წინამდებარე პროგრამის ფარგლებში ერთ ჯგუფზე შეადგენს კვირაში 3 საათს. აღნიშნული მოდული ისწავლება პირველი სასწავლო წლის განმავლობაში (1-დან 50-ე სასწავლო კვირის ჩათვლით). დაწესებულება გეგმავს პროგრამაზე საშუალოდ 4-6 ჯგუფის მიღებას, შესაბამისად, აუდიტორიის მაქსიმალური დატვირთვა კვირაში არაუმეტეს 18 საათს შეადგენს. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება სრულ კვოტას (84 ადგილი) ორ მიღებად გადაანაწილებს, ლაბორატორიების დატვირთვა კიდევ უფრო შემცირდება.

ვებტექნოლოგიების მილევადის ინტეგრირებული პროგრამის სასწავლო გეგმა სამწელზეა გათვლილი, მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ფარგლებში ლაბორატორიების დატვირთვა შეადგენს კვირაში 2-4 საათს, რაც, ზემოთ წარმოდგენილი აუდიტორიების გამოყენების გათვალისწინებით, მათი სრული დატვირთვის დაახლოებით 5%-ს შეადგენს.

დაწესებულება მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ლაბორატორიებს ასევე იყენებს პროგრამის „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ ფარგლებში. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლობს 32 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც სამ ჯგუფად არიან გაყოფილნი. ამ ჯგუფებისთვის აუდიტორიის დატვირთვა შეადგენს კვირაში 2-4 საათს, რაც დამატებით უნდა იქნას გათვალისწინებული საერთო ლაბორატორიული რესურსების განაწილებისას.მათი სრული დატვირთვის დაახლოებით 5%-ს შეადგენს.

**ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „სპორტი“** ფარგლებში დაწესებულებას შერჩეული აქვს შემდეგი თემატური ბლოკები: მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და აერობიკა/პილატესი. დაწესებულების მე-5 სართულზე მოწყობილია სპორტული გარემოს შესაბამისი თავისუფალი სივრცე, სადაც განთავსებულია აღნიშნული თემატური ბლოკების სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები. **აღნიშნული გარემოს დატვირთვა წინამდებარე** პროგრამის ფარგლებში ერთი ჯგუფისთვის შეადგენს კვირაში 2 საათს (აღნიშნული მოდული ისწავლება პირველ სასწავლო წელს(1- დან - 25-ე სასწავლო კვირის ჩათვლით), დაწესებულება გეგმავს პროგრამაზე საშუალოდ 4-6 ჯგუფის მიღებას, შესაბამისად, აუდიტორიის მაქსიმალური დატვირთვა კვირაში არაუმეტეს 12 საათს შეადგენს. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება სრულ კვოტას (84 ადგილი) ორ მიღებად გადაანაწილებს, სივრცის დატვირთვა კიდევ უფრო შემცირდება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის -224 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით, მათ შორის 140 პროფესიული სტუდენტი არაინტეგრირებულ პროგრამაზე, ხოლო 84 ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

საგანმანათლებლო პროგრამით „Front-end დეველოპმენტი“ განსაზღვრული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 დარგი; ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პირად საქმეები, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა, რომლის გათვალისწინებით განმახორციელებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ჰყავს ვებტექნოლოგიების ინტეგრირებული პროგრამის მილევადი ჯგუფები, რომელთა ფარგლებში დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად სხვა პირებიც არიან დაკონტრაქტებული. ამასთან, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების რიგი განმახორციელებლები საერთო არიან ორივე პროგრამისთვის, თუმცა მათი დატვირთვა იმდენად მცირეა, რომ სრული დატვირთვის 50%-საც არ აღწევს.

**შესაბამისად პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

Front-end დეველოპმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეულები არიან დაწესებულების მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაცვით, პირად საქმეში განთავსებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. პერსონალთან გაფორმებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები. პერსონალს გავლილი აქვთ არაერთი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. მათ შორის: სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება; ,,კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროგრამაში“ და ა.შ. განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ აღნიშნული პერსონალი წინამორბედი პროგრამის ფარგლებშიც თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან, შესაბამისად პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები გაწევრიანებულები არიან სსიპ პროფესიული უნარების სააგენტოს დარგობრივ ქსელებში, სადაც მათ პერიოდულად უტარდებათ ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები მოდულებისწარმატებით განხორციელების მიზნებისათვის.

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

Front-end დეველოპმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულია პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი და შრომითი გამოცდილება. იგი უკვე იყო ვებტექნოლოგიების პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი. სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებებია : შესაბამისი პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა - მატერიალური რესურსის განსაზღვრა, სასწავლო

გეგმის სტრუქტურის აგება; შესაბამისი პროგრამის განახლებაში მონაწილეობა - საჭირო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მოძიება,ცვლილების ინიცირება და გავრცელება; პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირებაში ჩართულობა; ავტორიზაციის/პროგრამის დამატების მიზნებისათვის საჭირო აქტივობებში მონაწილეობა; პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებლებისთვის საჭირო მასალა/ნედლეულის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნისა და განაწილების კოორდინირება; მიმართვის შემთხვევაში, მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორებისთვის შეფასების ინსტრუმენტების შედგენაში, კონსულტაციის გაწევა;მიმართვის შემთხვევაში, მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორისთვის განმავითარებელი ან/და განმსაზღვრელი შეფასებისთვის პრაქტიკული დავალებების გაზიარება ან/და მომზადებაში რჩევების მიცემა; პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე ზრუნვა.

პროგრამის ხელმძღვანელი ასევე არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირი. ექსპერტთა ჯგუფმა მასთან ინტერვიუს შედეგად დაადგინა, რომ ის სრულად იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ასრულებს კიდეც, კერძოდ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე პროგრამის დაგეგმვა-ადაპტირების პროცესებში, ასევე მონაწილეობდა წინამდებარე პროგრამის სტანდარტის განახლების ფოკუსჯგუფში, სადაც მაქსიმალურად დააფიქსირა **„წინამორბედი ვებტექნოლოგიების პროგრამის“** ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები. იგი გამოხატავს მზაობას, აქტიურად ჩაერთოს მიმდინარე პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესებში, რაც დადებითად აისახება მისი ეფექტურობისა და ხარისხის გაუმჯობესებაზე.

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი სრულიად ელექტრონული სახით განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს სწავლის დაწყების დროს აცნობს თუ როგორ შეუძლიათ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 8 ინდივიდუალური კომპიუტერი, რომლებშიც ჩატვირთულია პროგრამის ფარგლებში ყველა მოდულის ელექტრონული სასწავლო რესურსი. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დარეგულირებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების მართვა სასწავლო რესურსების ადაპტირებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებით, პროფესიული განათლების მასწავლებელს განსაზღვრული აქვს საჭიროების შეთხვევაში სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო მასალის ადაპტირების ფუნქციაც. სსსმ პირებისათვის შესაბამისი სერვისებით სარგებლობის მიზნით ადაპტირებულია გარემო. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ წინამორბედი პროგრამის ფარგლებში არ ჰყოთს სსსმ პირი, რომელსაც აღნიშნული სერვისით სარგებლობა დასჭირდა, თუმცა მეთოდოლოგიების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი(10 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, მისი მთავარი შემოსავლების წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ
- მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- http://www.itvet.ge/
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურში აყვანის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- დაწესებულებაში პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, წინამდებარე დებულება ადგენს კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს და განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის საქმიანობას.ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის იმ პროგრამების, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, ასევე იმ პროგრამების, რომელშიცინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (შემდგომში - ინტეგრირებული პროგრამა) და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

წარმატებით განხორციელების ხელშეწყობა, რასაც ახორციელებს მისი საქმიანობის სფეროს - სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებითა და გაუმჯობესებაზე ზრუნვით. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ამოცანაა დაინტერესებული მხარეების (აპლიკანტი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი/მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, ადმინისტრაციის თანამშრომელი, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი, კურსდამთავრებული) ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება, რისთვისაც ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის გამჭვირვალე კრიტერიუმების განსაზღვრასა და მათ გათვალისწინებაზე. ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით და ითვალისწინებს ხელმძღვანელ პირს და არანაკლებ წევრს. ჯგუფს აქვს შეკრების, გადაწყვეტილების მიღების (ჯგუფის წევრების აბსოლუტური უმრავლესობის დასწრების შემთხვევაში, განსხვავებული აზრის შემთხვევაში განხილვის/შეხვედრის ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი) და გავრცელების უფლებამოსილება საქმიანობის სფეროს ფარგლებში. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს ჯგუფის შეთანხმებულ საქმიანობას ჯგუფის მიერ შედგენილი სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების ჯეროვნად შესრულების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, საქმიანობის სფეროს ფარგლებში, ხელმძღვანელობს დაგეგმე განახორციელე-შეაფასე-განავითარე ციკლის მოდელით.

დაწესებულება მიზნად ისახავს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიული პროგრამების შეთავაზების გზით, საქართველოში პროფესიული განათლების გაუმჯობესება-განვითარებას და მაღალი საერთაშორისო სტანდარტის დაწესებას. პროგრამის დაგეგმვის ნაწილში გამოყენებულია შრომის ბაზრის ანალიზი, უკუკავშირი დაინტერესებულ მხარეებისაგან, შესაბამისად პროგრამის შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას.

**2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

პროგრამაში ცვლილების შეტანა მისი განვითარების ან/და ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით შესაძლებელია როგორც განხორციელების ეტაპზე, ასევე დასრულების შემდეგ. პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს :

ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს.

პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ ინიცირების უფლებამოსილება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც არგუმენტირებული მოთხოვნით, დაინტერესებული პირი შესაძლებელია იყოს: პროგრამის შემუშავებაში, განხორცილებაში ან შეფასებაში ჩართული პირი.

ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა განიხილება პროგრამის განმახორციელებლებთან კონსულტირებით და საჭიროების შემთხვევაში პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობით, რომელიც საჭიროებისამებრ, წარიმართება სამსახურებრივი ფოსტის გამოყენებით.

პროგრამაში ცვლილების შეტანა ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა Front-end დეველოპმენტი დამტკიცებულია 2025 წლის 14 თებერვალი - დირექტირის ბრძანება N32-ით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები(პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა, ტექნიკური ხარვეზების გასწორება ) განხორციელებულია აღნიშნული წესის დაცვით, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. ბოლო ცვლილება შეტანილია 2025 წლის 21 მარტის დირექტირის ბრძანება N66-ით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- კითხვარების ფორმები;
- სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ - 2025 წლის 4 თებერვალი N32; 2025 წლის 21 მარტის დირექტირის ბრძანება N66-ით.
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს Front-end დეველოპმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები: ინტეგრირებული და არაინტეგრირებული , ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე. სასწავლო გეგმებში მოდულები ისეა განაზილებული , რომ სტუდენტის კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ არის 40 საათზე მაღალი, სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამით გათვალისწინებული მოდულების „ლოგიკური“ დაშვების წინაპირობები. **შესაბამისად პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის დაწყებამდე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები აწვდიან პროფესიულ სტუდენტებს ინფორმაციას პროგრამის და სასწავლო განრიგის შესახებ. სასწავლო ცხრილები თავსდება დაწესებულების ვებგვერდზე. სწავლება დაგეგმილია ორ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

ცვლაში. ჯგუფში სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება სტუდენტის მიერ ცვლის შეცვლის მიზნით იმავე პროგრამის სხვა ჯგუფში გადასვლის შესაძლებლობა. **შესაბამისად პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა Front-end დეველოპმენტი განხორციელდება სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის საჭიროებების გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას.

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და მასში ცვლილებების შეტანა მოიცავს შემდეგ დებულებებს: ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (შემდგომში ისგ) არის სტუდენტისთვის/სტუდენტების ჯგუფისთვის შეთავაზებული, ალტერნატიული სასწავლო გეგმა. ისგ მუშავდება სამიზნე სტუდენტის/სტუდენტების ჯგუფის ჩართულობით და მათი იმ კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც ლეგიტიმურია სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის. ისგ-ს საჭიროება შესაძლებელია დადგეს: - მობილობით ჩარიცხული სტუდენტის ინტეგრირების მიზნით; - სტუდენტის სტატუსის აღსადგენად სტუდენტის ალტერნატიულ აკადემიურ ჯგუფში ინტეგრაციის მიზნით; - სსსმ სტატუსით ჩარიცხული სტუდენტისთვის მოქნილი სასწავლო გრაფიკის შექმნის მიზნით, რომელიც გამოწვეულია სამედიცინო აუცილებლობით და ან არ აფერხებს სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას ან სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით, შესაბამისი დასკვნის/ოქმის საფუძველზე გამიზნულად ამცირებს სასწავლო დატვირთვას; - სხვა ობიექტური გარემოება. ისგ მტკიცდება შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული დირექტორის ბრძანებით. შესაბამისად **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

დაწესებულებას Front-end დეველოპმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას განახორციელებს იმიტირებულ სასწავლო გარემოში.

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დირექტორის 2020 წლის 13 მაისის №101 ბრძანებით სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება კოლეჯში დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორების უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა (დასაქმებულების შემთხვევაში) და პირველადი გადაუდებელი დახმარების წესები და სარგებლობის/გამოყენების მექანიზმები. წინამდებარე დოკუმენტის ამოქმედების მიზანს წარმოადგენს კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფთათვის უსაფრთხოებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის და კოლეჯში დასაქმებული პირების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კოლეჯის ყველა თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ითანამშრომლოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან, დაემორჩილოს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ წესებს და შეასრულოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული მითითებები. პროგრამის დარგობრივი მოდულების განხორციელება არ მოითხოვს სპეციფიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვას, თუმცა მოდულის მეცნიერება და ტექნოლოგიების - ქიმიის კომპონენტში განსაზღვრულია დამატებით ლაბორატორიის მოწყობის წესი და უსაფრთხოების დაცვის საკითხები რაც გათვალისწინებულია დაწესებულების მხრიდან. **გასაუბრების და წინამდებარე დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზნები;
- Front-end დეველოპმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან გაფორმებული მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების წესი;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების საკითხები. წესი მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების, აპელაციის წესის, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხების, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურის და წესის, შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების , მტკიცებულებების მოპოვება- შენახვის წესების შესახებ ინფორმაციებს, ასევე ცალკე რეგულაციად დამტკიცებულია სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისიის დებულება, რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის №48/ნ ბრძანების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. დოკუმენტების ანალიზის, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიურების შედეგების შეჯამებით დასტურდება, **რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. დოკუმენტის მიხედვით დაწესებულება ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციის, პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის გზით. განხორციელდა ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, რომელმაც წარმოადგინა **„წინამორბედი პროგრამა ვებტექნოლოგიების“** ფარგლებში ჩატარებული ვერიფიკაციის პროცესი და მისი შედეგები. წარმოდგენილ ანგარიშში ასახული იყო მოდულების მიხედვით ჩატარებული შეფასების ინსტრუმენტების, პროცესების და შესაბამისი მტკიცებულებების დეტალური ანალიზი. დოკუმენტში მითითებული იყო აღმოჩენილი ხარვეზები და შემოთავაზებული რეკომენდაციები, რომლებიც ინდივიდუალურად გადაეცა კონკრეტულ პროფესიულ მასწავლებლებს. მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, მასწავლებლებმა გადახედეს და გააუმჯობესეს შეფასების ინსტრუმენტები, რაც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავდა პროგრამის ხარისხის ამაღლებას და პროცესების ეფექტიანობის ზრდას. დოკუმენტის ანალიზის და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის"-ის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა **შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროფესიული სტუდენტი კონფიდენციალურად მიიღებს უკუკავშირს, რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან ერთად პერიოდულად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებულ იქნება პროგრამის განვითარების კუთხითაც, რამეთუ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულია საგანმნათლებლო პროგრამების გაუმჯობესების კუთხით - მაგ. შეფასების ინსტრუმენტების შეცვლა-გაუმჯობესება და სხვა.**პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

04.04.2025 წ

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: